2024-2025 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის

(სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის 2024 წლის)

კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი № CON230000590 - 4

ქ. თბილისი **„11“ დეკემბერი, 2025 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან რაზმაძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ლანა მორგოშია - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

იოსებ ოქრომელიძე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ვახტანგ ცინცაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

მარიამ ტაბატაძე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

„2024-2025 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის N1762 განკარგულების 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, 2024 წლის განმავლობაში სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2023 წლის 25 დეკემბერს გამოცხადებული **CON230000590** კონსოლიდირებული ტენდერის **(ლოტი N4)** ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადის გაგრძელება **არაუგვიანეს 2027 წლის 15 იანვრის ჩათვლით.**

განხილვა:

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიის წევრებს მოახსენა შემდეგი ინფორმაცია:

2024-2025 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2024 წლის 11 იანვრის № CON230000590-2 სხდომის

ოქმის საფუძველზე, 2024 წლის განმავლობაში სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში (**CON230000590**), კერძოდ, ლოტ N4-ში (სადაც share% - საშუალოდ ნაკლები ან ტოლი იყო 2%-ის, 01.06.2023-24.12.2023 პერიოდის მონაცემების მიხედვით) გამარჯვებულ პრეტენდენტებად გამოვლინდნენ - **სს მედია ჰოლდინგ (ს/ნ 405443872), სატელევიზიო არხი ბრენდული სახელწოდებით „მარაო"; შპს „სტუდია მაესტრო" (ს/ნ 236080557), სატელევიზიო არხი ბრენდული სახელწოდებით „მაესტრო"** და **შპს „ფორმულა" (ს/ნ 405345666), სატელევიზიო არხი ბრენდული სახელწოდებით „ფორმულა".**

ამასთან, ზემოაღნიშნულ კონსოლიდირებულ ტენდერში **(CON230000590)** სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) მომსახურების გაწევისა და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2025 წლის 15 იანვარი.

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიის წევრებს ასევე მოახსენა, რომ „2024-2025 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის №1762 განკარგულების მე-4 პუნქტისა და სატენდერო კომისიის 2024 წლის 09 დეკემბრის № CON230000590-3 სხდომის ოქმის საფუძველზე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) მომსახურების გაწევის ვადა გაგრძელდა 2024 წლის კონსოლიდირებული ტენდერის **(CON230000590)** ფარგლებში, ამავე ტენდერის პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე და გამარჯვებულ პრეტენდენტ(ებ)თან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ **არაუგვიანეს 2026 წლის 16 იანვრის ჩათვლით.**

სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) უწყვეტი და შეუფერხებელი მიწოდების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის უზრუნველსაყოფად, სატენდერო კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ „2024-2025 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის №1762 განკარგულების მე-4 პუნქტის საფუძველზე, სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, 2023 წლის 25 დეკემბერს გამოცხადებული **CON230000590** კონსოლიდირებული ტენდერის **(ლოტი N4)** სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა ამჯერადაც გაგრძელდეს ახალი კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებამდე, მაგრამ **არაუგვიანეს 2027 წლის 15 იანვრის ჩათვლით.**

ამასთან აღსანიშნავია, რომ სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2024 წლის კონსოლიდირებული ტენდერის **(CON230000590)** ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადის გაგრძელების საკითხი წინასწარ შეთანხმდა აღნიშნულ კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ სატელევიზიო არხებთან, რომელთაგან მხოლოდ შპს „ფორმულამ" (სატელევიზიო არხი ბრენდული სახელწოდებით „ფორმულა") განაცხადა უარი კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში (იმავე პირობებისა და ტარიფების შესაბამისად) გაგრძელებული მომსახურების ვადის განმავლობაში ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე.

შესაბამისად, შპს „ფორმულა" (სატელევიზიო არხი ბრენდული სახელწოდებით „ფორმულა") ვეღარ განახორციელებს კონსოლიდირებული ტენდერით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ვეღარ გაუწევს ტენდერით გათვალისწინებულ მომსახურებას სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებს.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ იმსჯელა და აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაგრძელებული მომსახურების ვადის განმავლობაში შპს „ფორმულა" (სატელევიზიო არხი ბრენდული სახელწოდებით „ფორმულა") ვეღარ განახორციელებს ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის

აუცილებლობიდან გამომდინარე, „2024-2025 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის №1762 განკარგულების მე-4 პუნქტის საფუძველზე, ასევე, **წინამდებარე კონსოლიდირებულ ტენდერში (CON230000590) გამარჯვებული სატელევიზიო არხების თანხმობის გათვალისწინებით,** სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) მომსახურების გაწევისა და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2024 წლის კონსოლიდირებული ტენდერის **(CON230000590)** ფარგლებში, ამავე ტენდერის პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე და გამარჯვებულ პრეტენდენტ(ებ)თან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ **არაუგვიანეს 2027 წლის 15 იანვრის ჩათვლით.**

2. სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით, სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) 2024 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON230000590**) ფარგლებში გაგრძელებული მომსახურების ვადის განმავლობაში შპს „ფორმულა“ (სატელევიზიო არხი ბრენდული სახელწოდებით „ფორმულა“) აღარ განახორციელებს ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

3. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

4. წინამდებარე ოქმის გასაჩივრება შესაძლებელია მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია სატენდერო კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.